

გაკვეთილის გეგმა

პედაგოგი-ლელა წიკლაური

სკოლა-ბოლნისი/ ჯავშანიანის საჯარო სკოლა (არაქართულენოვანი)

გაკვეთილის თემა- ნაადრევი ქორწინება

კლასი-X

თემის დაფარვისთვის საჭიროა 2-3 აკადემიური საათი

ენის ფლობის დონე -B1

შესაბამისობა ევროჩარჩოსთან- შემსწავლელს შეუძლია თანამიმდევრულად მნიშვნელოვანი ნიუანსების გათვალისწინებით გადმოსცეს ისეთი მოვლენა თუ ფაქტი , რომელსაც თვითონ შეესწრო. მასთან დაკავშირებით გადმოსცეს საკუთარი მოსაზრებები.

შესაბამისობა ე.ს.გ-ქ. მ. VI. 25 (ლაპარაკი) მოსწავლეს შეუძლია ლაპარაკის სტრატეგიების გამოყენება. მოსწავლეს შეუძლია გაბმულად საუბარი.

მიზანი: მოსწავლეები შეძლებენ ნაადრევის ქორწინები შესახებ საუბარს და მის პრევენციას. შემსწავლელი შეძლებენ საუბარს საკუთარი უფლებების შესახებ.

მედიაწიგნიერების მიზანი:

მედიაწიგნიერების კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის შეფასება.

მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა.

რესურსი:

ფოტოები;

ანიმაცია: ნაადრევი ქორწინება <https://goo.gl/DzFyZP>

შეფასების ინსტრუმენტები:

ინდიკატორები	მოსწავლეს შეუძლია
ანიმაციის შინაარსის გაგება, მისი ძირითადი გზავნილების.	ადეკვატურად აღიქვამს ანიმაციას. იგებს შინაარს. ახარისხებს და აჯგუფებს ინფორმაციას. გამოყოფს მთავარ საკითხებს.
საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები	შესაბამისი ლექსიკის გამოყენებით მეტყველებს მკაფიოდ და გარკვევით.
მედიაწიგნიერება	ფოტოებსა და ანიმაციაში მხატვრული ხერხების ამოცნობა და აუდიტორიაზე ზეგავლენის შეფასება.

გაკვეთილის თანამიმდევრობა

აქტივობა 1: ტერმინის „ნაადრევი ქორწინება“ განმარტება:

მოსწავლეები ავსებენ ასოციოგრამას -თქვენი აზრით, რას ნიშნავს ტერმინი ნაადრევი ქორწინება?

მასწავლებელი დაფაზე წერს „ნაადრევი ქორწინება“. შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს გამოთქვან ვარაუდი, რას შეიძლება ნიშნავდეს ეს ტერმინი. მოსწავლეების მოსაზრებებს მასწავლებელი წერს დაფაზე.

აქტივობა 2: ფოტოების დეკოდირება:

მოსწავლეები აკვირდებიან ფოტოებს. და ნიშნავენ სწორს. ამ სავარჯიშოს მოსწავლეები ინდივიდუალურად ასრულებენ.

სავარჯიშო N1

მონიშნეთ სწორი პასუხი: რა თემები აერთიანებს მოცემულ ფოტოებს?

		
☐ ბულინგი ☐ ქორწილი ☐ სიყვარული ☐ ნაადრევი ქორწინება	☐ ბულინგი ☐ ქორწილი ☐ სიყვარული ☐ ნაადრევი ქორწინება	☐ ბულინგი ☐ ქორწილი ☐ სიყვარული ☐ ნაადრევი ქორწინება

სავარჯიშოს შესრულების შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვებს, რომელიც მათ ეხმარება ფოტოების დეკოდირებაში:

კითხვა	სავარაუდო პასუხი
რა არის ამ ფოტოების ავტორის მიზანი?	- ნაადრევი ქორწინება არ არის გოგონას სურვილი, - ნაადრევი ქორწინების შემთხვევაში, - გოგონა ვერ ხედავს საფრთხეებს, - ნაადრევი ქორწინების შემთხვევაში გოგონა ემშვიდობება ბავშვობა, - ნაადრევი ქორწინება არის ტყვეობა.
რა ხერხებს იყენებს ავტორი?	- გოგონა თვალახვეულია, - გოგონას სათამაშო ხელიდან უვარდება, - გოგონა შემფოთებულია, - გოგონას ხელზე ბორკილები აქვს.
ვისთვისაა განკუთვნილი ეს ფოტოები?	- გოგონებისთვის, - ვაჟებისთვის, - მშობლისთვის, - სკოლისთვის.
ფოტო ეუბნება მაყურებელს, როგორ დაიცვას ის გოგონა, რომელიც შეიძლება ძალით გაათხოვონ?	- არა
რა გავლენა ექნება ფოტოს ადამიანებზე?	- უთანაგრძნობენ ინ გოგონას, რომელსაც ძალით ათხოვებენ; - შეეცოდებათ.

აქტივობა 3: ანიმაციის „ნაადრევი ქორწინება“ წარდგინება და შინაარსის ანალიზი
შემსწავლელელები უყურებენ ანიმაციას „ნაადრევი ქორწინება“ <https://goo.gl/DzFyZP>

ანიმაციის მოკლე შინაარსი:



ანიმაციი "ნაადრევი ქორწინება" / Animation "Early Marriage"

ლიზი 14 წლისაა, სკოლაში კარგად სწავლობს, უნდა ექიმი გამოვიდეს. ლიზის მამამ გადაწყვიტა, რომ ლიზი თანაკლასელის შვილს, გიორგის მიათხოვოს. ამის შესახებ გიორგის ოჯახს უკვე ელაპარაკა. სკოლიდან დაბრუნებულმა ლიზიმ დედისგან შეიტყო ეს ამბავი. მას არ უნდა

გათხოვება. ის ტირის. ლიზი წყვეტს სკოლაში სიარულს.

მასწავლებელმა ლიზის მეგობარს ჰკითხა, რატომ აცდენდა ლიზი სკოლას. ბავშვმა უთხრა, რომ ოჯახს მისი გათხოვება ჰქონდა გადაწყვეტილი. მასწავლებელი ურეკავს სოციალურ მუშაკს.

სოციალური მუშაკი მიდის ლიზისთან ოჯახში, ესაუბრება ლიზის მშობლებს. უხსნის მათ რომ 14 წლის გოგონას ქორწინება კანონდარღვევაა, ამ ქორწინების შედეგად შეიძლება გიორგი დააკავოს პოლიციამ. თუ ეს ქორწინება მაინც შედგა, ლიზის ჯანმრთელობას შეიძლება საფრთხე დაემუქროს.

სოციალურმა მუშაკი ასევე ხვდება ლიზის, ეუბნება რომ შეხვდა მშობლებს, უტოვებს ტელეფონის ნომერს დახმარებისთვის.

სოციალური მუშაკი პოლიციელთან ერთად, ასევე ხვდება გიორგის და მის მშობლებს, ესაუბრება ნაადრევი ქორწინებისა და კანონმდებლობის შესახებ.

ლიზის მშობლებმა გადაიფიქრეს მისი გათხოვება და ლიზი აგრძელებს სკოლაში სიარულს. მან იცის, როგორ უნდა დაიცვას თავი, თუ ვინმე გადაწყვეტს რომ იძულებით გაათხოვოს. მან უნდა დაურეკოს სოციალურ მუშაკს 1505-ზე.

მოსწავლეები ასრულებენ დავალებას, რომელიც ანიმაციის შინაარსის გაგებაზეა ორიენტირებული. გთავაზობთ დავალებების ნიმუშს, რომელსაც შეარჩევთ კლასის მახასიათებლებიდან გამომდინარე:

სავარჯიშო N2:

ა) რა ამბავს გვიყვება აპლიკაცია?

ვინ არის ვიდეორგოლის მთავარი გმირი? -----
რამდენი წლისაა ლიზი? -----
ლიზის უნდა თუ არა გათხოვება?

ვინ დაეხმარა ლიზის პრობლემის მოგვარებაში? -----
ლიზის მშობლებს უნდათ ლიზის გათხოვება? -----
ვინ დაეხმარა ლიზის? -----
საიდან გაიგო სკოლამ რომ ლიზი თხოვდებოდა? -----
რა უთხრა სოციალურმა მუშაკმა ლიზის მშობლებს? ლიზის? გიორგის და მის მშობლებს? ----- -----
როგორ დასრულდა ლიზის ამბავი? -----

ბ) ორ სვეტში ჩამოწერეთ ყველა მონაწილე, რომელიც შექმნილ სიტუაციაში არის ჩართული.

იცავს გოგონას:

დანარჩენები:

მასწავლებელი

.....

.....

.....

.....



.....

.....

.....


.....

.....

გ) მონიშნეთ, სწორია თუ არა მოსაზრება:

სწორია თუ არა?	სწორია	არასწორია
ლიზი კარგად სწავლობს და ექიმობაზე ოცნებობს.		
ლიზის შეყვარებული ყავს, მას გიორგი ჰქვია		
ლიზის მშობლებს არ მოსწონთ გიორგი და ლიზის მასთან ურთიერთობას უშლიან		
ლიზის მამამ გადაწყვიტა, ლიზი კლასელის შვილს მიათხოვოს		
ლიზის მშობლები თვლიან რომ გათხოვება და თან სკოლაში სიარული შესაძლებელია		
ლიზიმ სკოლაში სიარული შეწყვიტა		
ბავშვებმა მასწავლებელს უთხრეს, ლიზი იმიტომ არ დადის სკოლაში, რომ თხოვდება		
მასწავლებელმა ლიზის ქორწილისთვის საჩუქრის შერჩევა გადაწყვიტა		
მასწავლებელმა დაურეკა სოციალურ მუშაკს		
სოციალურმა მუშაკმა დაურეკა ლიზის მშობლებს და მიულოცა დაგეგმილი ქორწილი		
სოციალური მუშაკი შეხვდა ლიზის მშობლებს, გიორგისა და მის მშობლებს		
სოციალურმა მუშაკმა ლიზის მშობლებს, გიორგისა და მის მშობლებს აუხსნა, რომ ლიზი არასრულწლოვანი იყო, ქორწინება მისთვის საფრთხეა და კანონის მიხედვით გიორგის დააკავებდა პოლიცია		
ქორწილის დღე დადგინდა		
ქორწილი ჩაიშალა		
ლიზიმ გააგრძელა სკოლაში სიარული		

სავარჯიშო N3. შეავსეთ სქემა ანიმაციაში აღწერილი ყველა მნიშვნელოვანი ნაბიჯით, რომელიც ლიზის პრობლემას აგვარებს:



სავარჯიშო N 4.

ა) დააკავშირეთ ფრაზები ისრებით:

ადამიანის უფლებებს		გოგონას ჯანმრთელობაზე
ნაადრევი ქორწინება ისჯება		იცავს კანონი
ნაადრევი ქორწინება აისახება		ისჯება კანონით
18 წლამდე პირთა ქორწინება		განათლების უფლება
ყველა ადამიანს აქვს		აკრძალულია კანონით

ბ) ანიმაციაში სოციალური მუშაკი მშობლებს უხსნის ნაადრევი ქორწინების უარყოფით შედეგებს. მოუსმინეთ კიდეც ერთხელ და უპასუხეთ კითხვას

ვისი ან რისი ნომრებია?

1505 -

112 -

აქტივობა 5. ანიმაციის „ნაადრევი ქორწინება“ დეკოდირება მედიაწიგნიერების კითხვების მიხედვით

შემსწავლელები კიდეც ერთხელ უსმენენ ვიდეოს და მსჯელობენ შემდეგ თემებზე:

1. აქვს თუ არა უფლება მშობლებს განსაზღვრონ (დაგეგმონ) შვილის მომავალი.
2. სწორად მოიქცა თუ არა მასწავლებელი, როცა სოციალურ მუშაკს დაურეკა.
3. უნდა იცოდეს თუ არა ბავშვმა საკუთარი უფლებები.

დისკუსიის შემდეგ, მოსწავლეები უკვე მზად იქნებიან მოახდინონ მედიაპროდუქტის დეკოდირება, აუდიტორიაზე ძირითადი გზავნილების ანალიზი. მასწავლებელმა ეს პროცესი შეიძლება განახორციელოს ცხრილში მოცემული კითხვების მიხედვით.

კითხვები	სავარაუდო პასუხები
ვისთვისაა ვიდეო შექმნილი?	მოსწავლეებისთვის, მასწავლებლისთვის, მშობლებისთვის
რა არის მთავარი გზავნილი ახალგაზრდა გოგონებისთვის?	თუ ხართ ნაადრევი ქორწინების საფრთხის ქვეშ, მიმართეთ სოციალურ მუშაკს
რა არის მთავარი გზავნილი ვაჟებისთვის?	თუ დაქორწინდებით არასრულწლოვანზე, ამისთვის შეიძლება დაგაკავონ
რა არის მთავარი გზავნილი მასწავლებლებისთვის?	თუ გაიგეთ, რომ გოგონას ძალით ათხოვებენ, მიმართეთ სოციალურ მუშაკს
რა არის მთავარი გზავნილი მშობლებისთვის?	ნაადრევი ქორწინება ისჯება, აზიანებს გოგონას ჯანმრთელობას.
რა ხერხებია გამოყენებული ანიმაციაში?	მშვიდი მუსიკა, დამაჯერებელი ტონი

დავალება:

ა) მოიძიონ ინფორმაცია სოფელში ნაადრევი ქორწინების შესახებ და შექმნან სიუჟეტური ნახატები თემაზე: არა ნაადრევ ქორწინებას!